სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2021 წლის 28 ივნისი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 მაისის №44/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: თამარ გაგოშიძე)
3. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 ივნისის №46/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნანა გაფრინდაშვილი)
4. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის -

ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 მარტის №34/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ირა ცაგარეიშვილი)

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ნანა გაფრინდაშვილი)
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: მაია ჩიღვინაძე)
7. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარედ მიწის ფართის იჯარის ფორმით გაცემის საკითხი (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **41** წევრმა:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი 2. ლალი ახალბედაშვილი 3. ნინო ჭალაგანიძე 4. ზურაბ გაიპარაშვილი 5. ბეჟან თუთბერიძე 6. ლია მაჭავარიანი 7. ლევან საბაური 8. ირინე ჟვანია 9. ომარ მუკბანიანი 10. ადა ნემსაძე 11. არჩილ ჯავახიშვილი 12. თემურ ცქიტიშვილი 13. მანანა რუსეიშვილი 14. მარინე ხუციშვილი 15. ნათელა არჩვაძე 16. გიორგი გოგსაძე 17. გვანცა გვანცელაძე 18. კობა ყალიჩავა 19. მარინა გარიშვილი 20. ელისაბედ ბჟალავა 21. მიხეილ რუხაია 22. ციური სუმბაძე 23. აპოლონ თაბუაშვილი 24. თამარ პაიჭაძე 25. კახაბერ ლორია 26. ნინო ჩახუნაშვილი 27. სოფიო ხუციშვილი 28. ნოდარ ლომიძე 29. ეთერ კაკულია 30. ნაზირა კაკულია 31. სანდრო მარანელი 32. ელენე ბებერაშვილი 33. შოთა კეჟერაშვილი 34. გიორგი ჯაფოშვილი 35. ირაკლი ონიანი 36. ლუკა ონიანი 37. ნინო აბესაძე 38. საბა სახვაზე 39. ალექსანდრე გაბაშვილი 40. თამილა ჩალაძე 41. ანასტასია ზაქარიაძე (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ბრძანების საფუძვლეზე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს ბატონ არნოლდ გეგჭკორს შეუწყდა

შრომითი ურთიერთობა გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ხოლო წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა - მერაბ ხოხობაიამ ითხოვა სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტა პირადი განცხადების საფუძველზე. კანონმდებლობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა მათთვის სენატის წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტისა საკითხი.

დისტანციური დღის წერიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება) თავისი პოზიცია დააფიქსირა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა მიხეილ რუხაიამ და დაინტერესდა, რა იყო ცალკეული ერთეულების სახელების ცვლილების მოტივაცია. გამოთქვა სურვილი, მომავალში სხდომის ოქმებში ჩაიწეროს მოკლე ახსნა-განმარტებები მსგავსი ცვლილებების დასაბუთებით.

საკითხის მომხსენებელმა, ქალბატონმა ნანა გაფრინდაშვილმა წერილობით განმარტა, რომ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახელწოდებაში ცვლილების აუცილებლობა განიპირობებული იყო რეალობის ასახვის საჭიროებით: ინსტიტუტის ბაზაზე მოქმედი სასწავლო პროგრამები შინაარსობრივად ფარავს როგორც ეთნოლოგიას, ასევე ანთროპოლოგიას, აკადემიური ხარისხები ენიჭებათ ეთნოლოგიის ბაკალავრს, ანთროპოლოგიის მაგისტრს და დოქტორს. გარდა ამისა, საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო წრეებთან თანამშრომლობისას აღარ გაჩნდება კითხვები და მოიხსნება დამატებითი განმარტებების საჭიროება ინსტიტუტის საქმიანობასა და მისი პროგრამების შინაარსთან დაკავშირებით. ხოლო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერების კათედრის სახელწოდების ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქართველური ენათმეცნიერება, ზოგადი დასახელებაა, ფაქტობრივად, მოიცავს ამავე ინსტიტუტში შემავალ მეორე კათდრის დასახელებასაც. ამიტომ თვით ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სრულმა შემადგენლობამ 2021 წლის 10 აპრილის სხდომაზე (ოქმი #4), საჭიროდ მიიჩნია დაკონკრეტებულიყო აღნიშნული კათედრის სახელწოდება, რის შესაბამისადაც ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულთა დასახელებანი უფრო რეალურად და გასაგებად გადმოსცემენ ამავე კათედრათა საქმიანობის სფეროებს, კერძოდ:

1. ახალი ქართული ენის კათედრა,
2. ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრა.

შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭომ ინსტიტუტების სხდომის ოქმებში მოყვანილი არგუმენტაცია მიიჩნია დასაბუთებულად და მიიღო გადაწყვეტილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღსანიშნავია, რომ შესატანი ცვლილებები ვიზირებულია თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, თსუ პერსონალის მართვის სამსახურის და იურიდიული სამსახურების მიერ.

წარმომადგელობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ომარ მუკბანიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში საკითხები უფრო გაშლილად იქნას წარმოდგენილი უკეთესი ინფორმირებისათვის.

.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1.შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი არნოლდ გეგეჭკორსა და მერაბ ხოხობაიას (დანართი 3)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

2. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 მაისის №44/2021 დადგენილება (დანართი 4)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

3. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 ივნისის №46/2021 დადგენილება (დანართი 5)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

4. დამტკიცდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 მარტის №34/2021 დადგენილება (დანართი 6)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

5. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები:

ა) დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ა.ა) ახალი ქართული ენის კათედრა;

ბ) დებულების 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

(დანართი 7)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

6. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 8)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

7. გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.14.14.010.030), 25მ2 (2,50მX10მ) მიწის ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე 5 წლის ვადით, სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების მიზნით, წარმოდგენილი პირობებით (დანართი 9)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2021 წლის 28 ივნისის დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა #3, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

საბაური ლევანი -

კაკულია ნაზირა -

სტუდენტები:

ჯაფოშვილი გიორგი -

სახვაძე საბა -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

მუკბანიანი ომარი -

სტუდენტები:

ონიანი ლუკა -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინე -

სტუდენტები:

ჯავახიშვილი არჩილი -

სანდრო მარანელი -

ირაკლი ონიანი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

ლორია კახაბერი -

პაიჭაძე თამარი -

ზაქარიაძე ანასტასია -

თაბუაშვილი აპოლონი -

სტუდენტები

შოთა კეჟერაშვილი -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე -

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (28.06.2021 წ. #3)

1. შარვაშიძე გიორგი, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ
3. ამირანაშვილი ავთანდილ
4. ანანიაშვილი ნათელა
5. გაგნიძე ნონა
6. გოცირიძე დავით
7. ზაუტაშვილი მარინე
8. კვინიკაძე მურმან
9. კოპალეიშვილი მაია
10. კუხიანიძე ალექსანდრე
11. ლობჟანიძე გია
12. ლომიძე გაგა
13. მაისაშვილი ხათუნა
14. მესტვირიშვილი მაია
15. მექვაბიშვილი ელგუჯა
16. მინდაძე ნინო
17. სანაძე რუსუდან
18. სილაგაძე ავთანდილ
19. ფურთუხია ომარ
20. ქურდაძე ირინე
21. ქურდაძე რამაზ
22. ღვედაშვილი გიორგი
23. ღონღაძე ალექსანდრე
24. ყარალაშვილი თამაზ
25. შავლაყაძე ნუგზარ
26. შენეგელია თემურ
27. ცისკარიძე ალექსანდრე
28. წერეთელი მარი
29. წერეთელი მზია
30. ხაჩიძე მანანა
31. ხუსკივაძე მამუკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 472/02-03
02/06/2021

472-02-03-4-202106021355

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ არნოლდ გეგეჭკორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' და ,,პ" ქვეპუნქტების და რ. ხომერიკის 2021 წლის პირველი ივნისის N9552/28 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეუწყდეს შრომითი ურთიერთობა 2021 წლის პირველი ივნისიდან სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს არნოლდ გეგეჭკორს გარდაცვალების გამო.
2. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, შიდა აუდიტის სამსახური).
3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 9736/29 03/06/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის მერაბ ხოხობაიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 1 მარტს დავინიშნე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N123/02-03). შესაბამისად, გთხოვთ შემიწყვიტოთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

პატივისცემით,

მერაბ ხოხობაია

სამსახურის უფროსი
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 44/2021 24 მაისი 2021 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის 21 მაისის №8962/26 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 მაისის №10 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №7 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №7).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №7

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის **ფსიქოლოგიისა და განათლების** მეცნიერებათა ფაკულტეტის
აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1900 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1300 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 - საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 3200 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2600 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 2000 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი - 8 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 - საკონსულტაციო, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 - საკონსულტაციო, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი - 12 - სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 - საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

6. წინამდებარე დანართის მე-5 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

N 9406/10
31/05/2021

9406-10-3-202105311402

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 მაისის №44/2021 დადგენილებას.

დანართი: 7 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 46/2021 21 ივნისი 2021 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის 16 ივნისის №10756/27 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 ივნისის №11 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში და პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №2).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №2

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტ**ის აკადემიური პერსონალის
თანამდებობრივი სარგო

1. **„გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალ**ის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1230 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 995 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 770 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ

მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა;**

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 1950 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1665 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1275 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 12 საათი - 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 6 საათი საკონსულტაციო, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი - 12 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. **,,ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

ა) პროფესორი - თვეში 2835 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2080 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1630 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი - 8 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8 საათი საკონსულტაციო, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი - 10 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 10 საათი საკონსულტაციო, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 26 საათი - 14 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), 12 საათი საკონსულტაციო;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

7. წინამდებარე დანართის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

8. წინამდებარე დანართის მე-7 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისს წარმოადგენს და ამ პუნქტით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა, მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში და შემდეგი სახით:

ა) შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება;

ბ) არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა;

გ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ საქმიანობაში მონაწილეობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

დ) უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით ან სხვა ამგვარი დოკუმენტით გათვალისწინებული, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა (გადაწყვეტილებას ზემოხსენებული სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის ანაზღაურებადი სახით წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი);

ე) შესაბამისი ანაზღაურებით განათლების ავტორიზაციისა ან/და აკრედიტაციის ან/და სხვა პროფილური მიმართულების ექსპერტის თანამდებობაზე საქმიანობა (ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში (კრიტერიუმები განისაზღვრება ფაკულტეტის მიერ, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით), სათანადო განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი).

N 11381/10
23/06/2021

11381-10-3-202106231456

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 ივნისის №46/2021 დადგენილებას.

დანართი: 7 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 34/2021 29 მარტი 2021 წ.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის 2021 წლის 16 მარტის №4476/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 მარტის №8 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები:

"5. ცენტრისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი (I კატეგორია) და უფროსი სპეციალისტი.
6. საჭიროებიდან გამომდინარე ცენტრის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ (შტატგარეშე) თანამშრომლებს წარმოადგენენ: მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია) და სპეციალისტი (ტექნიკოსი).
7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობების ფუნქციები, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო აღწერილობებითა და შრომითი ხელშეკრულებებით.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 5866/10
31/03/2021

5866-10-3-202103312053

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 მარტის №34/2021 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ა) დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ა.ა) ახალი ქართული ენის კათედრა

N 8993/27 24/05/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს
უფროსს,

ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონოგიორგი,

გთხოვთ წარმომადგენლობითი საბჭოს ახლოეს სხდომაზე განიხილოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

იხილეთ დანართები.

პატივისცემით

ნანა გაფრინდაშვილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ამონაწერი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 6

2021 წლის 12 აპრილს, ორშაბათს, 16 საათზე, Zoom-ისპლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 21 წევრი: პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი, ასოც. პროფესორი თეა წითლანაძე, ასოც. პროფესორი ლევან სილაგაძე, პროფესორი რამაზ ქურდაძე, ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი, პროფესორი ვასილ კაჭარავა, ასოც. პროფესორი კონსტანტინე ბრეგაძე, პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი დავით გოცირიძე, პროფესორი ნინო ჩიქოვანი, პროფესორი თინათინ დოლიძე, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, პროფესორი დემურ ჯალაღონია, პროფესორი მანანა რუსიეშვილი, პროფესორი დარეჯან გარდავაძე, პროფესორინანა ტონია, სტუდენტი მარიამ თვალაძე, სტუდენტი შოთა კეჟერაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი თამარ მოკვერაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშე მწეთეა კალანდია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი ეკატერინე ნავროზაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ვლევებისა და განვითარები სსამსახურის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია) ფიქრია ვარდოსანიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ზვიად მურადაშვილი

სხდომის თავმჯდომარე - ფაკულტეტის დეკანი,
პროფ. ნანა გაფრინდაშვილი

მდივანი - პროფ. ქეთევან ხუციშვილი

დღის წესრიგი

13. ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში (ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტუტუტის „ქართველური ენათმეცნიერების კათედრისათვის“ სახელის შეცვლის საკითხი)

მოისმინეს: 13. ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში (ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტუტუტის „ქართველური ენათმეცნიერების კათედრისათვის“ სახელის შეცვლის საკითხი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილება, კერძოდ, ამონაწერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერებისა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრების 2021 წლის 10 აპრილის ერთობლივი სხდომის N4 ოქმიდან, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში შემავალი ქართველური ენათმეცნიერების კათედრის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით:

ა) დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ა.ა ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ა.ა) ახალი ქართული ენის კათედრა

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი გამოიტანა კენჭისყრაზე.

გაიმართა კენჭისყრა: მხარი დაუჭირა საბჭოს 21 წევრმა, წინააღმდეგი: 0; თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: წარედგინოს ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი თსუ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე: /ნანა გაფრინდაშვილი/

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ქართველური
ენათმეცნიერებისა და ძველი ქართული ენისა და
ტექსტოლოგიური კვლევების კათედრების
2021 წლის 10 აპრილის ერთობლივი სხდომის

4 ოქმიდან

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. რამაზ ქურდაძე
სხდომის მდივანი: სოფია შამუგია

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. რამაზ ქურდაძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე, ასოც პროფ. ლელა ციხელაშვილი, ასოც პროფ. ქეთევან მარგიანი, ასოც პროფ. მაია ლომია, ასოც პროფ. კახა გაბუნია, ასოც პროფ. გიული შაბაშვილი, ასოც პროფ. რუსუდან ზექალაშვილი, ასოც პროფ. სალომე ომიაძე, ასოც პროფ. ინგა სანიკიძე, ასოც პროფ. ანა ხარანაული, ასოც პროფ. ნინო შარაშენიძე, ლაბორანტი სოფია შამუგია.

დღის წესრიგი:

3. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში შემავალი „ქართველური ენათმეცნიერების კათედრის“ სახელწოდების ცვლილების საკითხი.

მოისმინეს:

პროფ. რამაზ ქურდაძის ინფორმაცია:

3. ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში შემავალი „ქართველური ენათმეცნიერების კათედრის“ სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. დარეჯან თვალთვაძემ, პროფ. რამაზ ქურდაძემ, ასოც. პროფ. ქეთევან მარგიანმა, ასოც. პროფ. მაია ლომიამ, ასოც. პროფ. ანა ხარანაულმა, ასოც. პროფ. ინგა სანიკიძემ, ასოც. პროფ. კახა გაბუნიამ.

ქართული ენის ინსტიტუტის „ქართველური ენათმეცნიერების კათედრის“ სახელწოდების ცვლილების გამო ჩატარდა ღია კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობდა ქართული ენის ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის სრული შემადგენლობა – 12 წევრი, 12 მომხრე, წინააღმდეგი – არც ერთი.

ჩატარებილი კენჭისყრის საფუძველზე **დაადგინეს:**

ა) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის „ქართველური ენათმეცნერების კათედრას“ ეწოდოს **„ახალი ქართული ენის კათედრა“.**

ბ) ეთხოვოს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დაამტკიცოს ეს დადგენილება და შეიტანოს შესაბამისი ცვლილება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში, კერძოდ, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-

სამეცნიერო ინსტიტუტის „ქართველური ენათმეცნიერების კათედრას“ ეწოდოს **„ახალი ქართული ენის კათედრა“.**

სხდომის თავმჯდომარე



სხდომის მდივანი: სოფია შამუგია

10.04.2021

დებულების 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

N 10726/27 16/06/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს
უფროსს,

ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონოგიორგი,

გთხოვთ წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

იხილეთ დანართები.

პატივისცემით

ნანა გაფრინდაშვილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 7

2021 წლის 9 ივნისს, ოთხშაბათს, 12 საათზე, Zoom-ის პლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 20 წევრი: პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, ასოც. პროფესორი ლევან სილაგაძე, პროფესორი ვასილ კაჭარავა, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი ნინო ჩიქოვანი, პროფესორი რამაზ ქურდაძე, პროფესორი დემურ ჯალაღონია, პროფესორი დარეჯან გარდავაძე, პროფესორი მანანა რუსიეშვილი, ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი, პროფესორი ვალერიან რამიშვილი, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი ნანა ტონია, ასოც. პროფესორი კონსტანტინე ბრეგაძე, პროფესორი თინათინ დოლიძე, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი დავით გოცირიძე, ასოც. პროფესორი თეა წითლანაძე, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი თამარ მოკვერაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე თეა კალანდია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ზვიად მურადაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე - ფაკულტეტის დეკანი,
პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
მდივანი - ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი

დღისწესრიგი

5. ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში (ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტუტუტის სახელის შეცვლის საკითხი).

მოისმინეს: 5. ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში (ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტუტუტის სახელის შეცვლის საკითხი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილება, კერძოდ, ამონაწერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის 2021 წლის 26 აპრილის სხდომის N3 ოქმიდან, ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით:

დებულების 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საკითხი გამოიტანა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ქ. ხუციშვილმა, პროფ. დავით გოცირიძემ, პროფ. კ.ლორიამ. მათ მხარი დაუჭირეს ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისათვის სახელის შეცვლას.

გაიმართა კენჭისყრა: მხარი დაუჭირა საბჭოს 20 წევრმა, წინააღმდეგი: 0; თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: წარედგინოს ფაკულტეტის დებულების ცვლილების პროექტი თსუ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე: /ნანა გაფრინდაშვილი/

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორთა 2021 წლის 26 აპრილის სხდომის

ო ქ მ ი N3

სხდომა ჩატარდა ონლაინ zoom პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. ქ. ხუციშვილი, ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანი, ასოც. პროფ. თ. გვიმრაძე, ლაბ. მ. შარაშენიძე

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ქ. ხუციშვილი

სხდომის მდივანი: მ. შარაშენიძე

დღის წესრიგი:

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახელწოდების შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: პროფ. ქ. ხუციშვილის მოხსენება ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახელწოდების შესახებ (იხ. დანართი).

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. თ. გვმრაძემ აღნიშნა, რომ თანამედროვე გამოწვევები დღის წესრგში აყენებს საკითხს სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებებში ჟღერდეს ტერმინი ანთროპოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევები საგნობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იდენტურია, როგორც ჩანს მაინც არის საჭიროებს ეს თვალსაჩინო იყოს სახელწოდებაშიც. მსოფლიო სამეცნიერო წრეებთან დაახლოების მიზნითაც გაცილებით მომგებიანია ორივე ტერმინის შენარჩუნება. ამიტომ მხარს ვუჭერ ჩვენი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახელწოდებად გაფორმდეს ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

ასოც პროფ. რ. გუჯეჯიანმა აღნიშნა, რომ ამჟამად სამივე სასწავლო დონეზე მოქმედი პროგრამები სწორედ ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სახელებს ატარებს და

მართებული იქნება ინსტიტუტის სახელწოდებაშიც დაფიქსირდეს არსებული რეალობა.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წინაშე, რათა განხორციელდეს სათანადო ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში და ეთნოლოგიის საწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახელწოდება დაფიქსირდეს შემდეგი სახით - ეთნოლოგია/ანთოპოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტი

2 მოისმინეს: მიმდინარე საკითხები

პროფ. ქ. ხუციშვილმა ილაპარაკა სემესტრის მიმდინარეობის შესახებ

განიხილეს დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებების ნუსხა და ჩასატარებელი სამუშაობის განრიგი.

სხდომის თავმჯდომარე



პროფ. ქ. ხუციშვილი

სხდომის მდივანი



მ. შარაშენიძე

სხდომის მონაწილენი:

ასოც. პროფ. რ. გუჯეჯიანი



ასოც პროფ. თ. გვიმრაძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 მაისის N3 ოქმით) ცვლილებები:

1. დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი, ცენტრის უფროსის მოადგილე, ცენტრის განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.".

N 9687/10 03/06/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი

საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში, კერძოდ საგამოცდო ცენტრში ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 9105/10 25/05/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.14.14.010.030), 25მ^2 (2,50მX10მ) მიწის ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების მიზნით, შემდეგი პირობებით:

1. ყოველი საიჯარო წლის განმავლობაში არაუმეტეს 50 კალენდარული დღე (არაუმეტეს ორჯერ გაყოფით), აღმართულ კონსტრუქციაზე მოიჯარე განათავსებს უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული დიზაინის შესაბამის რეკლამას;
2. სარეკლამო კონსტრუქციაზე აკრძალული იქნება თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელების ან მათი ჩამნაცვლებელი საშუალებების, ასევე აზარტული თამაშების (მათ შორის კაზინოები) რეკლამირება, ასევე სხვა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფილთან, უნივერსიტეტის საქმიანობასთან და აკადემიურ გარემოსთან შეუთავსებელი, აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის რეკლამების განთავსება.

დანართი: 4 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.14.010.030*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882012349750
მიწის ნაკვეთის ფართობი: *55906* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მიმოწერის თარიღი 30.07.12



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ყალდებულება	ხახობრივი ნაგებობა	0.00 00.0 UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	მიწისქვეშა ნაგებობა	

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გაშ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

REDMI NOTE 9S
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 9S
AI QUAD CAMERA

REDMI NOTE 9S
AI QUAD CAMERA